ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №110101/10/139

02 დეკემბერი 2010 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ დიდგორის რაიონის გამგეობა, მდებარე: 0114, დაბა წყნეთი, სტალინის ქ. 27 ა, გამგებლის გიორგი ნიკოლაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე „ბიძინა გალუაშვილი" მდებარე: დაბა წყნეთი, აღმაშენებლის ქ. № 35, ხელმძღვანელი ბიძინა გალუაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: დიდგორის რაიონის გამგეობისთვის სანიტარულ ჰიგიენური საქონლის შეძენის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების ობიექტი

"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" სანიტარულ ჰიგიენური საქონელი დანართი 1-ის შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება: 2010 წლის 02 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: დაბა წყნეთი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია:
- გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს მიწოდებული საქონელი.

5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- უკან დაუბრუნოს "მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და მოითხოვოს მისი თავიდან შესრულება.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
- გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება : გადარიცხვა

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ, მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 საბანკო დღეში.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი საბუთები: სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით;

9.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით;

9.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 2 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10. ფორს–მაჟორული სიტუაციები

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს დიდგორის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი შორენა ლომაია და ინსპექტირების ჯგუფი.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრამდე

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტურად.
14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

დიდგორის რაიონის გამგეობა,
ს/კ 204521954 მდებარე: წყნეთი,
სტალინის ქ. №27ა
ს/ს „ლიბერთი ბანკი„
ცენტრალური ფილიალი
ა/ა №GE95LBO125152101627000;
ბ/კ 220101480;

გიორგი ნიკოლაძე

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე „ბიძინა გალუაშვილი" ს.კ. 105149312
მდებარე დაბა წყნეთი, აღმაშენებლის ქ. 35
ს/ს „საქართველოს ბანკი" ა.ა
146611900 ბანკის კოდი 220101502

ბიძინა გალუაშვილი

დანართი 1

გამგეობისთვის სანიტარულ-ჰიგიენური საქონელი

№	ობიექტის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება
1	აქანდაზი	ც	2	13,00	26,00
2	ვარვარის ნათურა	ც	30	1,50	45,00
3	ცოცხი	ც	1	8,50	8,50
4	მასტიკა 0,380კგ	ც	6	3,50	21,00
5	ნაგვის პარკი	ც	5	1,20	6,00
6	სარეცხის ფხვნილი „ბაგი“	ც	1	20,00	20,00
7	ავეჯის საწმენდი პრონტო აეროზოლი	ც	7	6,50	45,50
8	იატაკის ტილო	ც	10	2,10	21,00
9	მინის საწმენდი ტილო	ც	10	4,00	40,00
10	მაგიდი ტილო	ც	10	1,00	10,00
11	ჭურჭლის საწმენდი ჟელე	ც	5	1,20	6,00
12	ხელის საპონი	ც	10	1,00	10,00
13	მილების საწმენდი „პოტხანბაგი“	ც	2	9,50	19,00
14	უნიტაზის საწმენდი „უტკა“	ც	7	4,00	28,00
15	სახეხი ფხვნილი „რაქშა“	ც	5	1,20	6,00
16	რეზინის ხელთათმანი	ც	5	1,20	6,00
17	ჭურჭლის საწმენდი ფეირი	ც	4	4,00	16,00
18	სელპაკის ხელსახოცი ქაღალდი	ც	5	5,00	25,00
19	სელპაკის ტ/ქაღალდი (24ც)	შეკვრ	1	26,00	26,00
	სულ				385,00

„შემსყიდველი“ გიორგი ნიკოლაძე

„მიმწოდებელი“ ბიძინა გალუაშვილი

PRIVATE ENTERPRISE BIDZINA GALUASHVILI * GEORGIA * 105109312